მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია

მუსიკა და ბავშვები

მოსწავლის წიგნი

2

საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ლექსი დავით მაღრაძის
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ

მაია ოთიაშვილი ია გაბუნია

მუსიკა და ბავშვები

მოსწავლის წიგნი

II კლასი

„წყაროსთვალი“
2018

ავტორები
მაია ოთიაშვილი
ია გაბუნია

მუსიკალური რედაქტორი
ირინე მიქაძე

მხატვარი
თინათინ მღებრიშვილი

ყდის დიზაინი
ია გაბუნია

ლიტერატურული რედაქტორი
თამარ ფაშალიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რატი თორდია

ფსიქოლოგი
ლია ქურხული

მუსიკა და ბავშვები

მუსიკა
II კლასი

„წყაროსთვალი“

ტელ: 274 63 69; 227 30 73
599 76 10 39; 599 30 16 84
ელ-ფოსტა: tskarostvali@gmail.com

© „წყაროსთვალი“ 2018
© მაია ოთიაშვილი
© ია გაბუნია

ISBN 978-9941-9295-7-1

Maia Otiashvili
MUSIC AND CHILDREN
2018 © “Tskarostvali“

უსმინე სამყაროს ❤ -ის ყურით

სამყაროს ხმები არეულია და შეგვიძლია დავალაგოთ,
ნებისმიერი ხმაური ვაქციოთ მუსიკად.

მოვიარე სიმღერით...

გამარჯობა, ბავშვებო! რა მალე გავიდა არდადეგები. საქართველოს ყველა კუთხე მოვიარე: ბევრი ახალი სიმღერა ვისწავლე, ზღაპრები, ლეგენდები, ლექსები მოვისმინე. თქვენც მოგიყვებით და გასწავლით.

მოგზაურობა სვანეთიდან დავიწყე. საქართველოს ეს ულამაზესი კუთხე კავკასიონის თოვლიან-ყინულიან მწვერვალებშია მოქცეული. გამაოცა ბუნებრივი ქვითა და კირით ნაშენმა მაღალმა კოშკებმა. სვანეთში ორი პატარა ტყუპი გოგო გავიცანი – კესო და ტასო, ცისფერი თვალებითა და წითური თმებით. გოგოები კოშკის ძირას ისხდნენ და ხელში უცნაური საკრავები ეჭირათ – ხის სამკუთხედზე რამდენიმე სიმი იყო გაბმული. ჩამოჰკრავდნენ სიმებს პატარა თითებს და ზედ საოცარ სიმღერებს ამღერებდნენ. ჩვენ ძალიან დავმეგობრდით.

ვთხოვე: მითხარით, რა ჰქვია იმ საკრავს, თქვენ რომ უკრავთ-მეთქი? – არც საკრავის სახელი მითხრეს და არც სიმღერა მასწავლეს. უარის მიზეზი სიცილით ამიხსნეს: კიდევ რომ ჩამოხვალ, მაშინ გასწავლით, შენ კი სხვებს ასწავლეო... მარტო სიმღერის ერთი სტროფი დამამახსოვრდა:

„ეს ლამაზი მთები,
ყვავილების მდელო,
მოვიარე სიმღერით
მთელი საქართველო“...

სვანეთი

მუსიკალური ლექსიკონი

მელოდია ბერძნული სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს.

საქართველოს რუკა

1 აფხაზეთი
2 სვანეთი
3 სამეგრელო
4 ლეჩხუმი
5 რაჭა
6 გურია
7 იმერეთი
8 აჭარა
9 მესხეთ-ჯავახეთი
10 ქართლი
11 ხევი
12 ხევსურეთი
13 მთიულეთი
14 ფშავი
15 თუშეთი
16 კახეთი
17 საინგილო
18 ლაზეთი
19 შავშეთი

ს. ცინცაძე. საკვარტეტო მინიატურა „ლალე“.
მოუსმინე მუსიკას და კუთხეების სახელწოდება ნომრების მიხედვით დააწერე რუკაზე

შინაური ფრინველების ხმები

მოუსმინე ფრინველებს, მიუსადაგე ნახატებს და მათი ხმები გამოსახე ნახატით.





მუსიკალური დიქსიონი

რეგისტრი ლათინური სიტყვაა და სიას ნიშნავს.

ყველა საკრავისა და ადამიანის ხმას გარკვეული რეგისტრი შეესაბამება: დაბალი, საშუალო და მაღალი.

მოუსმინე ფრინველების ხმებს, ამოიცანი და დაალაგე რეგისტრის მიხედვით: დაბალი, საშუალო და მაღალი

დაბალი	საშუალო	მაღალი

დილა მშვიდობისა



ტექსტი მ. მრევლიშვილის
მუსიკა მ. დავითაშვილის

– ჩიტო, ჩიტო, ნაცარავ,
ვის უგალობ, ვისა?
– შენ გიგალობ პატარავ,
დილა მშვიდობისა!

მისამღერი:
– მზეო, მზეო ცხრათვალავ,
ვის უცინი, ვისა?
– გაიღვიძე პატარავ?
დილა მშვიდობისა!

– პაწაწინა ყვავილო,
რად გაშალე კვირტი?
– შენთვის მინდა პატარავ,
აბა დამაკვირდი.

მისამღერი:
მეც ახლავე ავდგები,
მეც დავიბან პირსა,
ყველას მივესალმები:
დილა მშვიდობისა!

წაიკითხე, გაიმღერე და დაითვალე, რამდენი ბგერისგან შედგება ეს მელოდია.



მუსიკალური ლექსიკონი

დირიჟორი ფრანგული სიტყვაა და ხელმძღვანელს ნიშნავს. დირიჟორობს გუნდს, სიმფონიურ ორკესტრს...

გარეული ფრინველების ხმები

გუგული

ფარშევანგი

ყვავი

ბუ

შაშვი

მტრედი

ბეღურა

მოუსმინე ფრინველების ხმებს, ამოიცანი და დაალაგე რეგისტრის მიხედვით

დაბალი	საშუალო	მაღალი

მუსიკალური დიქციონი

მოტივი იტალიური სიტყვაა და მცირეს ნიშნავს. მუსიკაში, კი მუსიკალური ნაწარმოების ან სიმღერის უმცირეს ნაწილს.

რიტმულ-ინტონაციური სავარჯიშოები

წაიკითხე, ნოტების დასახელებით გაიმღერე სავარჯიშო და აყევი „დასარტყამი საკრავებით“.

რიგი-1



რიგი-2



რიგი-3





გაიხსენე ინტონაციური სავარჯიშო „მუსიკალურ კიბე“: და-თვი-და-თუ-ნა, ფი-სო-ფი-სუ-ნა...

– ახლა, ცხოველების მაგივრად მუსიკალურ კიბეზე მხიარული ნოტები გაიმღერე: **დო, მი, სოლ, მი, დო**





მამლი მუხასა

მესხური

მუხა წონწილებს, წონწილებს,
მამლი მუხასაო,
წონწილებს და წაიქცევა,
მამლი მუხასაო.

მისამღერი:

ჰარალე და მამლი მუხასაო,
ჰარალე და მამლი მუხასაო.

მუხის ნადგომსა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო,
წყალი დგებოდა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო.

მისამღერი:

ჰარალე და...

შიგ რომ თევზი მოდიოდა,
მამლი მუხასაო,
იმასაც დაჭერა უნდა,
მამლი მუხასაო.

მისამღერი:

ჰარალე და...

რითა და რითა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო,
მოსეს ბადითა, შენ ბიჭო,
მამლი მუხასაო!

მისამღერი:

ჰარალე და...

ჭიანური

ჭიანური უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი საკრავია. მასზე ხემით უკრავენ.

მუსიკალური ლექსიკონი

ხემი ხის ჯოხია, რომელზეც გაჭიმულია ცხენის ძუა. ხემით უკრავენ ვიოლინოზე, ჩელოსა და ზოგიერთ სხვა სიმებიან საკრავზე.

დაასახელე და დაასრულე საკრავები